ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ნინო ვარდოსანიძის

2024-2025 წლის ანგარიში

(2024 წლის 1 ნოემბრიდან - 2025 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ამავდროულად, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდში **საკრებულოს 16 სხდომა ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც 104 დადგენილებისა და 643 განკარგულების პროექტის განხილვასა და მიღებაში მივიღე მონაწილეობა.**

საანგარიშო წლის განმავლობაში დავესწარი ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 17 სხდომას და განვიხილე 30 საკითხი.

კომისიური მუშაობის კუთხით, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის ძირითადი საქმიანობა, დაკავშირებული იყო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის საქმიანობასთან.

2024 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 15 ოქტომბრის პერიოდში, **ჩემი თავმჯდომარეობით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის**

კომისიის 20 სხდომა ჩატარდა, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა 474 სამართლებრივი აქტის, კერძოდ, 98 დადგენილებისა და 376 განკარგულების პროექტი.

საკრებულოს მიერ განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვა-დამუშავებისა და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნების მომზადების კუთხით საქმიანობის გარდა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია წამყვან როლს ასრულებს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული საკითხების გადაწყვეტასა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივ-პროცედურული ღონისძიებების განხორციელებაში, როგორიცაა საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და ბიუროს წინაშე დასამტკიცებლად წარდგენა, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის შესწავლა და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის მომზადება და ა.შ.

ამასთანავე, **2024 წლის 18 დეკემბრამდე ვიყავი სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი. 2024 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 18 დეკემბრამდე პერიოდში, კომისიამ ჩაატარა 2 სხდომა, რომლის ფარგლებში 36 საკითხი შევისწავლე.**

2024 წლის 18 დეკემბრიდან დღემდე ვარ ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში დავესწარი კომისიის 20 სხდომას და შევისწავლე 261 საკითხი.

- **საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიციირებაზე ინფორმაცია**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომებზე დეტალურად იქნა შესწავლილი და დამუშავებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ (ინიციირების წესით) წარმოდგენილი ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, რომელთა მიმართ კომისიას ჰქონდა როგორც სამართლებრივი, ასევე ტექნიკური, რედაქციული და სტილისტური ხასიათის შენიშვნები.

ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზის ფარგლებში, კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ემსახურებოდა წარმოდგენილ პროექტთა, როგორც პრეამბულის, ასევე ძირითადი ნაწილის (მუხლების) სამართლებრივ, შინაარსობრივ და ტექნიკურ გამართვას, ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფას.

სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით, ჩემი, როგორც კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილი შენიშვნები/რეკომენდაციები, გაზიარებულ იქნა როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ. ამასთანავე, ცალკეულ შემთხვევებში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ იქნა შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტები.

საანგარიშო პერიოდში ასევე ჩართული ვიყავი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების მიზნით შემუშავებული ნორმატიული აქტების შინაარსობრივი, სამართლებრივი და ტექნიკური კუთხით გამართვის პროცესში.

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიაში შემოვიდა 50-ზე მეტი განცხადება/წერილი და თითოეულ მათგანზე კანონით დადგენილ ვადებში განხორციელდა/ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. ამასთანავე, კომისიის სამდივნოს თანამშრომლებმა არაერთ მოქალაქეს გაუწიეს ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში, აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც განხილულ და მხარდაჭერილ იქნა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ:

➢ *დაუმთავრებელი მშენებლობები:*

სოციალურ-ეკონომიკური და ურბანული თვალსაზრისით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხი წარმოადგენს, რომლის შედეგად, დედაქალაქის მასშტაბით ათასობით ოჯახია დაზარალებული.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის შესაბამისად, **მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დაუმთავრებელი მშენებლობების მიმართ გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული ხელშემწყობი ღონისძიებები,** რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების შეთანხმება.

მუნიციპალიტეტის მიერ ტექნიკური რეგლამენტით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შექმნილია **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისია,** რომლის ძირითადი საქმიანობაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით, დაინტერესებულ პირთა განცხადებების/წინადადებების შესწავლა და **დაზარალებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა, რომელთა საფუძველზეც, შემდგომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და საკრებულოს მიერ მიიღება შესაბამისი სამართლებრივი აქტები დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით**.

გასული წლის ივლისიდან ვარ ზემოხსენებული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შესწავლილ იქნა **19 განკარგულების პროექტი,** რომლებიც ემსახურებოდა **როგორც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, კონკრეტულ სამშენებლო ობიექტებთან მიმართებით დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრას,** როგორიცაა არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება, **ასევე დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის ან/და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შეთანხმებას.**

➢ *სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება/წინადადებები:*

დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 35-ე მუხლის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, საგამონაკლისო წესით, მიიღოს გადაწყვეტილება ისეთი ობიექტების დაუმთავრებელ მშენებლობად მიჩნევის შესახებ, რომელთა მიმართაც არსებობს მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესი.**

აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, დაზარალებულ პირთა წერილობითი მომართვის საფუძველზე, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მონიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, ინიციირების წესით წარდგენილ იქნა შესაბამისი განკარგულების პროექტები, სამი სამშენებლო ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომაზე დაამტკიცა.

კერძოდ, დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიენიჭათ შემდეგ მისამართებზე მდებარე სამშენებლო ობიექტებს:

- ✓ **ქ. თბილისი, გუდაურის (სვანიძის) ქ. N4-6 (ს/კ: N01.15.02.022.015 - ბარნოვის ქუჩა N51ბ; ს/კ: N01.15.02.022.027 - სვანიძის ქუჩა N6; ს/კ: N01.15.02.022.028 - სვანიძის I ჩიხი N3; ს/კ: N01.15.02.022.029 - ბარნოვის II ჩიხი N1; ს/კ: N01.15.02.022.030 - სვანიძის ქუჩა N4);**
- ✓ **ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N9ა, ბ, გ (ს/კ: N01.17.12.003.255);**
- ✓ **ქ. თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა N20თ (ს/კ: N01.10.13.010.089).**

თითოეულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებით, დაზარალებულ პირთა განცხადებებსა და მათზე თანდართულ დოკუმენტაციაზე, მათ შორის, დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ თბილისის პროკურატურის დადგენილებებზე დაყრდნობით, დეტალურად შევისწავლეთ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები.

სამივე ობიექტის შემთხვევაში, თბილისის პროკურატურის მიერ დაზარალებულად ცნობილ იქნა ათეულობით ადამიანი, რომელთაც დაუმთავრებელი მშენებლობის შედეგად, დიდი ოდენობით ქონებრივი სახის ზიანი მიადგათ. შესაბამისად, მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ აღნიშნული ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების მიზნით, შეგვემუშავებინა შესაბამისი განკარგულების პროექტები.

➢ *მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საკითხები*

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის საკითხები, რომელთა ფარგლებშიც **ხდება უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა იმ პირებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობდნენ და სარგებლობდნენ შესაბამისი უძრავი ქონებით.**

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომებზე შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა **107 განკარგულების პროექტი დაინტერესებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.**

➢ *ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის, მათი წარმომადგენლებისთვის ან მათი უფლებამონაცვლეებისათვის ქონების გადაცემა*

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ვალდებულია, უზრუნველყოს ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის -

ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ეტაპობრივად ხორციელდება კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისთვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემა, მათ მიმართ არსებულ სახელმწიფო საშინაო ვალზე უარის თქმის სანაცვლოდ.**

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შესწავლილ და მხარდაჭერილ იქნა **10 განკარგულების პროექტი, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების 89 წევრის/მათი უფლებამონაცვლის უძრავი ქონებით დაკმაყოფილების შესახებ.**

➢ *სატრანსპორტო საკითხებთან დაკავშირებით:*

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში, სატრანსპორტო სფეროს მოწესრიგებისა და განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებიდან მსურს, გამოვყო **თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი,** რომლის ფარგლებშიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის ხელი მოეწერა ქვესასესხო ხელშეკრულებას, საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის 2025 წლის 23 იანვარს გაფორმებული სასესხო შეთანხმების საფუძველზე, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის 125 000 000 ევროს გადაცემაზე, თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად.**

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს თბილისის მეტროს სისტემის ეფექტიანობის, სანდოობის, უსაფრთხოებისა და მდგრადობის გაზრდას. იგი სამკომპონენტია და ითვალისწინებს: **მეტროს ახალი მოძრავი შემადგენლობის შესყიდვას; ინსტიტუციონალური გაძლიერების კუთხით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (TTC) თანამშრომელთათვის გადასამზადებელი პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მეტროს თანამედროვე სისტემების ოპერირებასა და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან**

ტექნიკურ ასპექტებზე; ასევე მეტროს დეპოსა და გვირაბის რეაბილიტაციის მიზნით ტექნიკურ-ეკონომიკურ ანალიზსა და წინასწარი დიზაინის შექმნას.

➢ *ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით:*

ჯანდაცვის მიმართულებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ შესწავლილი საკითხებიდან, აღსანიშნავია **„თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესი"**, რომლის მიღება უზრუნველყოფს **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, პერსონალური ასისტენტის მომსახურების განხორციელების ბაზისური პრინციპების, პროცედურებისა და მიმწოდებლის შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრის გზით.**

ამასთანავე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-99 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების წესებს დაემატა **„რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“**, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის **„რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ განხორციელების პირობებსა და პროცედურებს განსაზღვრავს.**

რევმატოიდული ართრიტი აუტოიმუნური, ქრონიკული დაავადებაა, რომელიც სახსრების პროგრესირებად, შეუქცევად დაზიანებას და ქმედუუნარობის განვითარებას იწვევს. საერთაშორისო რეკომენდაციების (EULAR, ACR) თანახმად, მკურნალობა დაავადების მამოდიფიცირებელი ანტირევმატული საშუალებებით იწყება, თუმცა გარკვეული შემთხვევების დროს ეს თერაპია არ არის ეფექტიანი. ასეთ შემთხვევაში, **მკურნალობის სქემაში, ბიოლოგიური მედიკამენტების ჩართვაა მიზანშეწონილი, რაც დაავადების პროგრესირებას ამცირებს და პაციენტის ფუნქციურ მდგომარეობას აუმჯობესებს.**

„რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტის დაფინანსების ქვეპროგრამა“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირებისთვის სწორედ ასეთი მედიკამენტის მიწოდებას უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ **სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე,** ხოლო **ყველა სხვა მოსარგებლეს** მედიკამენტი უფინანსდება აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების წესით დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით, **მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით.**

სოციალური მიმართულებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ განხილული და მხარდაჭერილი პროექტებიდან, მსურს ხაზი გავუსვა „სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-98 დადგენილებით დამტკიცებულ **„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამაში** განხორციელებულ ცვლილებას, რომლის თანახმად, **100 წელს მიღწეული მოქალაქეებისათვის განსაზღვრული ფულადი დახმარების ოდენობა 1000 ლარიდან 10 000 ლარამდე გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს დედაქალაქში მცხოვრები იმ ხანდაზმული პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლებიც მუნიციპალიტეტის მხრიდან განსაკუთრებულ ზრუნვასა და თანადგომას საჭიროებენ.**

- ***გარემოს დაცვის მიმართულებით:***

გარემოს დაცვის მიმართულებით განხილული პროექტებიდან, მსურს გამოვყო **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა (2030 წლამდე), რომლის მიზანია ქალაქს დაეხმაროს მდგრადობის მიზნების მიღწევასა და კლიმატის ცვლილების ზემოქმედებისადმი მედეგობის გაზრდაში.**

სამოქმედო გეგმა მოიცავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 2025-2030 წლებში, კომპეტენციის ფარგლებში, დაგეგმილ ღონისძიებებს ტრანსპორტის, შენობების ენერგოეფექტურობის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა (გარე განათება, ნარჩენების მართვა) და მწვანე სივრცეების განვითარების მიმართულებით.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა ეფუძნება 2023 წელს ხელმოწერილ „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ განახლებულ პირობებს, რომლის შესაბამისადაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება 2030 წლისათვის მინიმუმ 30%-ით შეამციროს ნახშირორჟანგის (CO_2) (და სხვა სათბურის აირების) ემისია საკუთარ ტერიტორიაზე და კლიმატის ცვლილების შედეგებთან შეგუებით, აამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.

- ***ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით:***

მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ განხილულ და მხარდაჭერილ იქნა **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ბიზნესის სტიმულირება“ (კოდი: 04 01) ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის განხორციელების წესი,** რომლის შესაბამისად, მეწარმე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთა ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი) და ფუნქციონირების ადგილი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ეძლევათ შესაძლებლობა, **მიიღონ 50 000 ლარამდე თანადაფინანსება, როგორც პროდუქციის დასამზადებლად საჭირო მანქანა-დანადგარების, ისე პროდუქციის დამუშავებისა და დამატებითი ღირებულების მზა პროდუქტების შექმნისთვის საჭირო სხვა კატეგორიის (საწარმოო აღჭურვილობა/დანადგარები, ტექნოლოგია) შესყიდვის უზრუნველსაყოფად.**

აღნიშნული პროექტის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერება ქმნის საფუძველს სისტემური ეკონომიკური ცვლილებებისთვის. **მუნიციპალიტეტის მხრიდან გაწეული მხარდაჭერა, არსებითად შეუწყობს ხელს ინოვაციური პროცესების გაძლიერებას მცირე და საშუალო საწარმოთა დონეზე. აღნიშნულ ბიზნეს სუბიექტებს მიეცემათ შესაძლებლობა, იმუშაონ ახალი იდეებისა და პროდუქტების განვითარებაზე, დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები და გააუმჯობესონ საკუთარი საწარმოო მოდელები.** შედეგად, შესაძლებელი გახდება ისეთი პროდუქციის შექმნა, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:*

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39^3 მუხლით განსაზღვრულია ხელშემწყობი ღონისძიებები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, რაც გულისხმობს **დაინტერესებული პირების (ბიზნეს სექტორის) მიერ მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.**

საანგარიშო პერიოდში იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ შეისწავლა და მხარი დაუჭირა **61 განკარგულების პროექტს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.**

- *მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ:*

პრაქტიკაში გამოვლენილი შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფისა და თანაბარი პირობების შექმნის, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული ტერიტორიების ეფექტური და სწორი ქალაქგეგმარებითი განვითარების მიზნით, არაერთი ცვლილება განხორციელდა **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში.

➢ *წარმომადგენლობითი ფუნქციები და საგარეო ურთიერთობები*

2024 წლის 27-29 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარესთან ლევან აბაშიძესთან ერთად მონაწილეობა მივიღე **ბრიუსელში, ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) და შვედეთის ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონების ასოციაციის (SALAR International) ეგიდით გამართულ ადგილობრივი ლიდერების სემინარში.**

სემინარის თემა იყო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობების გაძლიერება აღმოსავლეთის სამეულის - საქართველო, მოლდოვა, უკრაინა - ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის. ღონისძიების ფარგლებში შესაძლებლობა მოგვეცა, ჩავრთულიყავით მრავალმხრივ დიალოგში ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციებისა და ევროკომისიის წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც შეეხებოდა ევროპის მასშტაბით რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარ გამოწვევებს.

სემინარის მიმდინარეობისას, დისკუსიის თემის გათვალისწინებით, ყურადღება გავამახვილე დეცენტრალიზაციის მნიშვნელობასა და თვითმმართველობის როლის გაძლიერებაზე, როგორც სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, ასევე ევროინტეგრაციის პროცესში.

ასევე, **2025 წლის 17-21 თებერვალს,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარესთან ოთარ გრიგოლიასთან ერთად, მონაწილეობა მივიღე **ქ. ბარსელონაში გამართულ, გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივ ხელისუფლებათა მსოფლიო ორგანიზაციის (UCLG) ყოველწლიურ შეხვედრაში თემაზე – „ადგილობრივი მთავრობისა და ახალგაზრდების როლი მომავლის ფორმირებაში“.**

ფართომასშტაბიანი ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხედვების ინტეგრირება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და თაობებს შორის დიალოგის ხელშეწყობა, რაც 2030 წლის გლობალური მიზნების მიღწევას ემსახურება.

შეხვედრაზე ასევე განხილული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების აქტიური ჩართულობა კლიმატის ცვლილების საკითხებში, ასევე

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის გაუმჯობესებაში.

გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმოდგენილი პროექტების პრეზენტაციებს, რის შემდეგაც მოხდა იდეების გაცვლა.

შეხვედრის ფარგლებში, უცხოელ კოლეგებთან ერთად მზადყოფნა გამოვთქვით თანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და მსოფლიოს წინაშე მდგარი გლობალური გამოწვევების დაძლევას.

აგრეთვე, მ/წლის 31 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთან ანა კაკაბაძესთან ერთად ვიმყოფებოდი ქ. სევილიაში და მონაწილეობა მივიღე გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივ ხელისუფლებათა მსოფლიო ორგანიზაციის (UCLG) აღმასრულებელი ბიუროს სხდომასა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მსოფლიო ფორუმში.

ბიუროს შეხვედრა მოიცავდა სესიებსა და დიალოგებს, რომლებიც ეხებოდა ადგილობრივი ფინანსების მართვას, მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებსა და მდგრადი განვითარების მიზნებს.

ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გავმართეთ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სექციის გენერალურ მდივანთან და დავსახეთ საქართველოსა და აღნიშნული რეგიონის მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის პერსპექტივები, მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის ურთიერთობის გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების კუთხით.

პატივისცემით,

საკრებულოს წევრი

ნინო ვარდოსანიძე